ქ. ბათუმში, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა უკვდავყოფის მემორიალის ესკიზის და სკვერის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო კომისიის ოქმი №1-2

ქ. ბათუმი, **5 ივნისი, 2012 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

ნათია სურგულაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

რამაზ მამულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების უფროსი;

ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (მხატვარი).

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა უკვ-დავყოფის მემორიალის ესკიზის და სკვერის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურ-სის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2012 წლის 1 მარტს გამოცხადებული N343 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ელგუჯა ხაზარაძემ კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2012 წლის 15 მარტს და მთავრდებოდა 2012 წლის 20 მარტს 15^{00} საათზე. 2012 წლის 20 მარტს 12^{25} საათზე საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოადგინა ერთმა პრეტენდენტმა: შპს „არქეოსმა“.

დალუქული პაკეტი საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2012 წლის 5 ივნისს, 15^{30} საათზე. შპს „არქეოსს“ საკონკურსო წინადადების წარდ-გენისათვის გადახდილი აქვს საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

ითვალისწინებს საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთაღნიშნული პირობა შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან, საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს „არქეოსის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს საკონკურსო წინადადების ფასი - 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი, განმარტებითი ბარათი კონცეფციით, ტექნიკური დავალება, ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ, კონკურსანტი პირის რეკვიზიტები.

საკონკურსო კომისიამ განახორციელა შპს „არქეოსის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო შეფასება (საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული შეფასებები ოქმს თან ერთვის).

ქ. ბათუმში, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა უკვდავყოფის მემორიალის ესკიზის და სკვერის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში, საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ, შპს „არქეოსს“ მიენიჭა 40 ქულა. შესაბამისად, აღნიშნული კონკურსანტი გამოვლინდა გამარჯვებულად.

კომისიამ დაადგინა:

1. ქ. ბათუმში, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა უკვდავყოფის მემორიალის ესკიზის და სკვერის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდეს შპს „არქეოსი“;

2. გაფორმდეს შპს „არქეოსთან“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წერილის გაგზავნა შპს „არქეოსისათვის“ არაუგვიანეს 5 ივნისისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ნათია სურგულაძე

საკონკურსო კომისიის წევრები: რამაზ მამულაძე

ელგუჯა ხაზარაძე